ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე: ინგა სეხნიაშვილი
კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია
კომისიის წევრი: ხათუნა ფურელიანი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.06.2021

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/21

შეკითხვა:

მენტორ ადვოკატს აქვს თუ არა უფლება საქმის მასალები სახლში გაატანოს სტაჟიორს (ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში) საპროცესო დოკუმენტების მომზადების მიზნით?

ანალიზი:

ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან (აპეკ-ის 11.1 მეორე წინადადება).

აპეკ-ის მე-11 მუხლი მიუთითებს ადვოკატის პასუხისმგებლობაზე იმ პირთა ეთიკური ქცევის გამო, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ასეთ ქმედებას. აღნიშნული მუხლის მოთხოვნები გამომდინარეობს აპეკ-ის მე-4 მუხლის პირველი და მე-5 ნაწილებიდან, რომლის თანახმად ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ. კონფიდენციალურობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა იგივე სტანდარტით (იხ. „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 132).

შესაბამისად, აპეკ-ის მე-11 მუხლით გათვალისწინებული დათქმა ეხება ადვოკატის ოფისში მომუშავე როგორც ადვოკატ, აგრეთვე, არაადვოკატ პირებს, მათ შორის, ადვოკატის თანაშემწეს, სტაჟიორს,

იურისტს, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ იმ მასალებზე და ინფორმაციაზე, რომლის კონფიდენციალურად შენახვა და დაცვა ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.

შეკითხვაში მითითებულია, რომ ადვოკატთან სტაჟირება „ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში“ ხორციელდება, რაც წარმოადგენს ადვოკატის პროფესიაში შესვლის წინაპირობას და მენტორი ადვოკატი არის პროფესიაში შესვლის მსურველი პირის „თეორიული ნაწილისა და სტაჟირების ხელმძღვანელი“ სამი თვის განმავლობაში (იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10).

რა უნდა გაითვალისწინოს მენტორ ადვოკატმა, თუ ის სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, გაუზიარებს კონფიდენციალური ინფორმაციას (ამ შემთხვევაში, საქმის მასალებს) სტაჟიორს?

აპეკ-ის მე-11 მუხლით, ადვოკატის მიერ მასთან მომუშავე პირებისათვის საადვოკატო საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაციის დაცვისთვის „ყველა გონივრული ზომის მიღება“ მოიცავს სტაჟირების დაწყების ეტაპიდანვე კონფიდენციალობის დაცვის თაობაზე ინფორმირებას და აღნიშნულზე სტაჟიორთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც განსაზღვრული იქნება მისი ვალდებულება კონფიდენციალობის დაცვის თაობაზე და მისი დარღვევის შემთხვევაში, არსებული პასუხისმგებლობა.

ადვოკატმა კონფიდენციალური ინფორმაციის გაზიარების დროს, მათ შორის მათთან მომუშავე პირებისათვის მასალების წვდომისას უნდა შეეცადოს მაქსიმალურად შეამციროს ის რისკები, რაც მათ გამჟღავნებას და გავრცელებას უკავშირდება.

შეკითხვიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს, პროფესიული რეგულაციის დაცვით, რამდენად დასაშვებია ადვოკატმა სტაჟიორს კონფიდენციალური ინფორმაცია გაუზიაროს იმ სახით, რომ მისცეს შესაძლებლობა გადაიღოს საქმის მასალების ასლები და თან წაიღოს. რომ სტაჟიორს საქმის მასალების ასლების წაღებით სრული წვდომა ექნება დოკუმენტებზე. იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია სწავლების პროცესი, რა მიზანსაც „ადაპტაციის პროგრამა“ მოიცავს, განხორციელდეს აღნიშნული ქმედების გარეშე, შემცირდება მესამე პირისთვის მასზე წვდომის რისკები. ადვოკატმა უნდა შეაფასოს სწავლების მიზნებიდან გამომდინარე საქმის მასალების ასლების გადაღების და მისი სტაჟიორისთვის გადაცემის აუცილებლობა, რა დროსაც ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობაა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისთვის.

დასკვნა:

მენტორ ადვოკატის მიერ „ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში“ სტაჟიორისთვის კონფიდენციალური ინფორმაციის გაზიარება, მათ შორის საქმის მასალების ასლების მისთვის გადაცემა შესაძლებელია თუ ის აუცილებელია სწავლების მიზნებიდან გამომდინარე და აღნიშნულზე მტკიცების ტვირთი ადვოკატს აკისრია. შესაბამისად, ადვოკატმა ყველა გონივრულ ზომას უნდა მიმართოს იმისათვის, რომ სტაჟიორის მიერ დაცული იყოს კონფიდენციალური ინფორმაცია. კერძოდ, ადვოკატმა უნდა განუმარტოს სტაჟიორს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობა და გააფორმოს მასთან წერილობითი ხელშეკრულება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის თაობაზე, რითიც განისაზღვრება მისი პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი /ხათუნა ფურელიანი/